საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3344
12/07/2022

3344-21-2-202207121658

შპს „სანალიას“
ელ. ფოსტა: amerido@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2219 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. მახალაკიძეებში, მდ. ჩირუხისწყალზე და მდ. სანალიაზე 4.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს თევზამრიდის საკითხი, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებით დამტკიცებული „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ მე-14 მუხლის მიხედვით „წყალამღები ნაგებობები, წყალაღებით არანაკლებ 5000 $м^3$ დღე-ღამეში აუცილებელია აღჭურვილი იყოს თევზამრიდი ნაგებობა-მოწყობილობებით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო